



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო



სოციალური კვლევისა
და ანალიზის ინსტიტუტი

თბილისის მოსახლეობის საჭიროებების შეფასება

თბილისის მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები

2017 წლის ივლისი

მეთოდოლოგია



კვლევის მიზანი იყო ქ. თბილისის მოსახლეობის საჭიროებების შეფასება, რაც დაეხმარება საჭიროებების შესაბამისი ბიუჯეტის ფორმირებას, ხოლო ეს ხელს შეუწყობს მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაზე მიმართული აქტივობების განხორციელებას.

კვლევის ამოცანებს შეადგენდა:

- თბილისის მოსახლეობის საჭიროებების ძირითადი მახასიათებლებისა და ინდიკატორების გამოვლენა თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის მეშვეობით;
- კვლევის ინსტრუმენტის (კითხვარის) შემუშავება, რომელიც გაზომავს და შეაფასებს თბილისის მოსახლეობის საჭიროებებს;
- სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში არსებული საჭიროებების იდენტიფიკაცია თბილისის მოსახლეობის მასშტაბით, მასობრივი გამოკითხვის გზით;
- კონსოლიდირებული ანალიტიკური ანგარიშის შემუშავება, რომელშიც წარმოდგენილი იქნება თბილისის მოსახლეობის საჭიროებები და მათი რანჟირება სამივე – ერთიანი თბილისის, ცალკეული რაიონებისა და რაიონების შიდა უბნების – დონეზე;

კვლევის მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად გამოვიყენეთ სოციოლოგიური კვლევის როგორც *რაოდენობრივი*, ისე *თვისებრივი* მეთოდები. თუმცა, თვისებრივ მეთოდებს (კერძოდ, ფოკუს ჯგუფებს) ჰქონდა რაოდენობრივი კვლევის დამხმარე ფუნქცია – იმ ცვლადებისა და ინდიკატორების შესამუშავებლად, რომლებიც საფუძვლად დაედო კვლევის ინსტრუმენტის დიზაინს.

კვლევის მეთოდი: სოციოლოგიური კვლევა ჩატარდა გამოკითხვის მეთოდით, კერძოდ, პირისპირ (face to face) ინტერვიუს გამოყენებით.

კვლევის ობიექტი: სოციოლოგიური გამოკვლევა ჩატარდა ქ. თბილისის 10 რაიონის საარჩევნო ოლქის (18 წლის და ზემოთ) მოსახლეობაში.

შერჩევითი ერთობლიობის მოცულობა მთლიანობაში შეადგენს 3000 რესპონდენტს.

შერჩევა: გამოკვლევისათვის გამოვიყენეთ მრავალსაფეხურიანი კლასტერული შერჩევა წინასწარი სტრატეგიკაციის გამოყენებით.

შერჩევის ბაზას წარმოადგენდა საქართველოს 2016 წლის ამომრჩეველთა სია. გამოსაკვლევ ერობლიობა დაიყო 10 რაიონად, რომლებიც ემთხვევა ქ. თბილისის ადმინისტრაციულ სტრუქტურას.

განისაზღვრა შერჩევის პირველადი, მეორადი და საბოლოო შერჩევის ერთეულები (PSU, SSU და FSU):

- PSU: საარჩევნო უბანი.
- SSU: შინამეურნეობა (ოჯახი).
- FSU: 18 წლის და უფროსი ასაკის მოქალაქე.

შეფასებების ცდომილებები (95%-იანი საიმედოობით):

- მთელი შერჩევითვის: 1.8%;
- თბილისის ცალკეული რაიონების ქვეშერჩევითვის: მერყეობს 5.0%– 6.7%–ს შორის

კვლევის მონაცემები გაანალიზდა სხვადასხვა მეთოდით:

- ერთგანზომილებიანი სიხშირული განაწილება;
- ცენტრალური ტენდენციების საზომები;
- კროსტაბულაცია;
- კორელაცია;
- რეგრესია და სხვ.

ძირითადი შედეგები



1. თბილისში არსებული ვითარების ზოგადი შეფასება



1.1. რესპონდენტების უმრავლესობა (56%) აცხადებს, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში თბილისი არასწორად ვითარდება. მათგან ნაწილი - 22%-მდე - ერთმნიშვნელოვნად ნეგატიურადაა განწყობილი.

თბილისის ბოლო სამწლიანი განვითარება ერთმნიშვნელოვნად დადებითად ფასდება თბილისელთა მხოლოდ 3.6%-ის მიერ, თუმცა, დამატებით, თითქმის მესამედია ისეთი (32.8%), ვინც უფრო პოზიტიურადაა განწყობილი.

1.2. რაც შეეხება თბილისის სოციალური ცხოვრებისა და ინფრასტრუქტურის სხვადასხვა სფეროს (სულ 21 სფერო) შეფასებას*, შეფასების უარყოფით ველში მოხვდა, ანუ ყველაზე პრობლემურ სფეროებად დასახელდა:

- საყრდენი კედლები და ავარიული შენობები (MEAN = 3.44)
- სოციალური დაცვა (MEAN = 3.78)
- ახალმშენებლობები (MEAN = 3.61)
- განათლების ინფრასტრუქტურა (MEAN = 3.90)
- გამწვანება (MEAN = 3.90)
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (MEAN = 3.91)

* შეფასება განხორციელდა 7 ქულიან სკალაზე, სადაც ქულა 1 შეესაბამება უკიდურესად უარყოფით შეფასებას, ხოლო ქულა 7 – უკიდურესად დადებით შეფასებას. სკალის ნეიტრალური პუნქტია 4 („არც დადებითად, არც უარყოფითად“).

1.3. რესპონდენტებმა გამოკვეთილად დადებითად შეაფასეს თბილისის სოციალური ცხოვრებისა და ინფრასტრუქტურის შემდეგი სფეროები:


- გარე განათება (MEAN = 5.48)
- დაგვა-დასუფთავება (MEAN = 5.15)
- ტურისტული ინფრასტრუქტურა (MEAN = 4.74)

რაც შეეხება დანარჩენ სფეროებს (ტრანსპორტი, გზები, რეკრეაცია, ქალაქის ძველი უბნების რეკონსტრუქცია, საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობა, ჯანმრთელობის დაცვა, საგანმანათლებლო პროგრამები, კულტურის ინფრასტრუქტურა, კულტურული ღონისძიებები, სპორტი და ახალგაზრდობა), ისინი დადებითი შეფასების ველში მოხვდა, თუმცა, ნეიტრალური შეფასების ზღვართან (4 ქულა) ახლოს.

1.4. თბილისელთა გამოკვეთილი უმრავლესობა (66%) აცხადებს, რომ საერთოდ არ არის ინფორმირებული 2017 წლის ბიუჯეტის და განსახორციელებელი პროგრამების შესახებ. კარგად ინფორმირებულია აბსოლუტური უმცირესობა (1.9%), ხოლო მეტ-ნაკლებად ინფორმირებულად თავს მიიჩნევს 13.6%.

1.5. თბილისის ბიუჯეტის შესახებ რამდენადმე ინფორმირებულ რესპონდენტთა მიერ ინფორმაციის ძირითად წყაროებად სახელდება, პირველ რიგში, ტელევიზია (52.5%), ხოლო შემდეგ, ინტერნეტ-გვერდები (20.5%).

თბილისში არსებული ვითარების ზოგადი შეფასება (Mean)



2. ტრანსპორტი



2.1. ტრანსპორტის სფეროში თბილისში არსებულ ზოგად ვითარებას თბილისელები დადებითად აფასებენ; თუმცა, ეს არ არის გამოკვეთილად დადებითი შეფასება და ის ახლოსაა შეფასების ნეიტრალურ (ქულა 4) პუნქტთან (MEAN=4.3–ს შეფასების 7 ქულიან სკალაზე).

2.2. ტრანსპორტის სფეროში რესპონდენტები მიუთითებენ პრობლემატურ საკითხებზე, რომლებიც უარყოფითი შეფასების ველში (< 4-ზე) ექცევა:

- ტროტუარებზე მანქანების პარკირება (MEAN = 2.91)
- პარკირების ადგილების რაოდენობა (MEAN = 3.05)
- სატვირთო ტრაილერების ქალაქში მოძრაობა (MEAN = 3.05)
- მრავალსართულიანი (მიწისქვეშა/მიწისზედა) პარკირების არსებობა (MEAN = 3.18)
- „სითი პარკის“ რეგულაციები (MEAN = 3.36)
- ტაქსებისთვის ლიცენზიის გაცემის პრაქტიკა (MEAN = 3.39)
- ე.წ. „სტაიანშიკების“ არსებობა (MEAN = 3.55)
- სამარშრუტო ტაქსების კომფორტულობა მგზავრობისთვის (MEAN = 3.63)
- ტაქსების ტექნიკური მდგომარეობა (MEAN = 3.71)
- ტრამვაის ინფრასტრუქტურა (MEAN = 3.83)
- კონტროლიორების კომუნიკაცია მგზავრებთან (MEAN = 3.85)
- სამარშრუტო ტაქსების ფასი (MEAN = 3.89)

2.3. ტრანსპორტის სფეროში მეტ-ნაკლებად დადებითად ფასდება (> 4-ზე) შემდეგი საკითხები:

- საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებზე ელექტრონული ტაბლოების მუშაობა (MEAN = 4.72)
- საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებზე მოსაცდელის მდგომარეობა (MEAN = 4.64)
- გარკვეული მიმართულების (ხაზის) სამარშრუტო ტაქსების რაოდენობა (MEAN = 4.50)
- ავტობუსების ფასი (MEAN = 4.46)


2.4. ტრანსპორტის სფეროში, თბილისის რაიონების დონეზე, შემდეგი საერთო პრობლემები გამოვლინდა (ეს პრობლემები დასახელდა თბილისის მინიმუმ 4 რაიონში):

- გარკვეული მიმართულების ავტობუსების ნაკლებობა
- სამარშრუტო ტაქსების არაკომფორტულობა მგზავრობისთვის
- ტროტუარებზე მანქანების პარკირება
- სამგზავრო ავტობუსების არასახარბიელო ტექნიკური მდგომარეობა

2.5. გარდა ამისა, თბილისის რაიონების ცალკეულ უბნებში გამოიკვეთა შემდეგი დამატებითი პრობლემები:

- ტროტუარებზე მანქანების პარკირება
- ავტობუსების მოძრაობის დიდი ინტერვალი

ტრანსპორტის სფეროს შეფასება (Mean)



3. საგზაო ინფრასტრუქტურა



3.1. საგზაო ინფრასტრუქტურის სფეროში თბილისში არსებულ ზოგად ვითარებას თბილისელები დადებითად აფასებენ; თუმცა, ეს არ არის გამოკვეთილად დადებითი შეფასება და ის ახლოსაა შეფასების ნეიტრალურ (ქულა 4) პუნქტთან (MEAN=4.2 –ს შეფასების 7 ქულიან სკალაზე).

3.2. საგზაო ინფრასტრუქტურის სფეროში, რესპონდენტები მიუთითებენ ყველაზე პრობლემატურ საკითხებზე, რომლებიც უარყოფითი შეფასების ველში (< 4-ზე) ექცევა:

- გზებზე მანქანების ნაკადი (MEAN=2.54)
- ავტომანქანების მოძრაობის დაგეგმარება (MEAN=3.16)
- ველოსიპედების ბილიკების ინფრასტრუქტურა (MEAN=3.16)
- ქუჩების ადაპტირებულობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების საჭიროებებთან (MEAN=3.38)

3.3. საგზაო ინფრასტრუქტურის სფეროში მეტ-ნაკლებად დადებითად ფასდება (> 4-ზე) შემდეგი საკითხები:

- შუქნიშნების რაოდენობა (MEAN=4.69)
- ტროტუარებზე საფარი (ფილაქანი/ასფალტი) (MEAN=4.45)
- ასფალტის საფარი გზებზე (MEAN=4.47)
- საგზაო მონიშვნები ასფალტზე (MEAN=4.39)
- „ზებრის“ ტიპის გადასასვლელების დაგეგმარება (MEAN=4.34)
- გზაჯვარედინები ქუჩებში (MEAN=4.34)


3.4. საგზაო ინფრასტრუქტურის სფეროში, თბილისის რაიონების დონეზე, შემდეგი საერთო პრობლემები გამოვლინდა (ეს პრობლემები დასახელდა თბილისის მინიმუმ 4 რაიონში):

- გზებზე მანქანების დიდი ნაკადი
- ავტომანქანების მოძრაობის არასწორი დაგეგმარება
- „ზებრის“ ტიპის გადასასვლელების რაოდენობის ნაკლებობა
- შიდა ეზოების საფარის არარსებობა

3.5. გარდა ამისა, თბილისის რაიონების ცალკეულ უბნებში გამოიკვეთა შემდეგი დამატებითი პრობლემები:

- გზების კეთილმოწყობლობა
- ტროტუარების დამცავი რკინის ბოძების ნაკლებობა
- ქუჩების არაადაპტირებულობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის
- ველოსიპედების ბილიკების ცუდი ინფრასტრუქტურა

საგზაო ინფრასტრუქტურის შეფასება (Mean)



4. ხიდები, გვირაბები, საყრდენი კედლები და ავარიული შენობები



4.1. ხიდებისა და გვირაბების სფეროში თბილისში არსებულ ზოგად ვითარებას თბილისელები დადებითად აფასებენ; თუმცა, ეს არ არის გამოკვეთილად დადებითი შეფასება და ის ახლოსაა შეფასების ნეიტრალურ (ქულა 4) პუნქტთან (MEAN=4.6 –ს შეფასების 7 ქულიან სკალაზე).

4.2. საყრდენი კედლებისა და ავარიული შენობების სფეროში თბილისში არსებულ ზოგად ვითარებას თბილისელები უარყოფითად აფასებენ. (MEAN=3.4 –ს შეფასების 7 ქულიან სკალაზე).

4.3. ხიდების, გვირაბების, საყრდენი კედლებისა და ავარიული შენობების სფეროში რესპონდენტები მიუთითებენ ცალკეულ პრობლემატურ საკითხებზე, რომლებიც უარყოფითი შეფასების ველში (< 4-ზე) ექცევა:

- მიწისქვეშა გადასასვლელების სანიტარული მდგომარეობა/სისუფთავე (MEAN=3.32)
- ავარიული შენობების გამაგრება (MEAN=3.41)
- მიწისქვეშა გადასასვლელების კეთილმოწყობა (MEAN=3.61)

4.4. ხიდების, გვირაბების, საყრდენი კედლებისა და ავარიული შენობების სფეროში მეტ-ნაკლებად დადებითად ფასდება (> 4-ზე) შემდეგი საკითხები:

- სატრანსპორტო ხიდების კეთილმოწყობა (MEAN=4.76)
- სატრანსპორტო გვირაბების კეთილმოწყობა (MEAN=4.73)
- მიწისზედა გადასასვლელების კეთილმოწყობა (MEAN=4.28)
- მიწისზედა გადასასვლელების (საფეხმავლო ხიდების) რაოდენობა (MEAN=4.27)


4.5. ხიდების, გვირაბების, საყრდენი კედლებისა და ავარიული შენობების სფეროში, თბილისის რაიონების დონეზე, შემდეგი საერთო პრობლემები გამოვლინდა (ეს პრობლემები დასახელდა თბილისის მინიმუმ 4 რაიონში):

- მიწისქვეშა გადასასვლელების ცუდი სანიტარული მდგომარეობა
- ავარიული შენობების გაუმაგრებლობა
- მიწისქვეშა გადასასვლელების კეთილმოწყობლობა
- მიწისზედა გადასასვლელების კეთილმოწყობლობა

4.6. გარდა ამისა, თბილისის რაიონების ცალკეულ უბნებში გამოიკვეთა შემდეგი დამატებითი პრობლემები:

- მიწისზედაა გადასასვლელების ნაკლებობა
- კლდის/მიწის ნაშალის დამცავი საყრდენი კედლების არარსებობა

ხიდების, გვირაბების, საყრდენი კედლებისა და ავარიული შენობების სფეროს შეფასება (Mean)



5. წყალ-კანალიზაცია



5.1. წყალ-კანალიზაციის სფეროში თბილისში არსებულ ზოგად ვითარებას თბილისელები დადებითად აფასებენ; თუმცა, ეს არ არის გამოკვეთილად დადებითი შეფასება და ის ახლოსაა შეფასების ნეიტრალურ (ქულა 4) პუნქტთან (MEAN=4.5 –ს, შეფასების 7 ქულიან სკალაზე).

5.2. წყალ-კანალიზაციის სფეროში, რესპონდენტები მიუთითებენ პრობლემატურ საკითხებზე, რომლებიც უარყოფითი შეფასების ველში (< 4-ზე) ექცევა:

- ქუჩებში სანიაღვრე, საკანალიზაციო ჭებების მდგომარეობა (MEAN = 3.78)

5.3. წყალ-კანალიზაციის სფეროში მეტ-ნაკლებად დადებითად ფასდება (> 4-ზე) შემდეგი საკითხები:

- სასმელი წყლით მომარაგება (MEAN =5.25)
- მოსახლეობის ინფორმირება სასმელი წყლის მიწოდების შეწყვეტაზე (MEAN =5.03)
- სასმელი წყლის ხარისხი/სანიტარული მდგომარეობა (MEAN =5.01)


5.4. წყალ-კანალიზაციის სფეროში, თბილისის რაიონების დონეზე, შემდეგი საერთო პრობლემები გამოვლინდა (ეს პრობლემები დასახელდა თბილისის მინიმუმ 4 რაიონში):

- სანიაღვრე ჭებისა და კოლექტორების ცუდი ხარისხი
- გაუმართავი საკანალიზაციო ქსელი
- მოსახლეობის ინფორმირების არ არსებობა, სასმელი წყლის შეწყვეტაზე
- სანიაღვრე ჭებისა და კოლექტორების ნაკლებობა

5.5. გარდა ამისა, თბილისის რაიონების ცალკეულ უბნებში გამოიკვეთა შემდეგი დამატებითი პრობლემა:

- სასმელი წყლის მიღების არასახარბიელო მდგომარეობა

წყალ-კანალიზაციის სფეროს შეფასება (Mean)



6. გარე განათება



6.1. გარე განათების სფეროში თბილისში არსებულ ზოგად ვითარებას თბილისელები დადებითად აფასებენ; (MEAN=5.5–ს შეფასების 7 ქულიან სკალაზე).

6.2. გარე განათების სფეროში, რესპონდენტები არ მიუთითებენ რომელიმე პრობლემატურ საკითხზე, რომელიც უარყოფითი შეფასების ველში (< 4–ზე) მოექცევა;


6.3. გარე განათების სფეროში მეტ-ნაკლებად დადებითად ფასდება (> 4–ზე) შემდეგი საკითხები:

- ქუჩების გარე განათების ქსელი (MEAN=5.57)
- გარე განათების ტექნიკური გამართულობა (MEAN=5.46)
- გარე განათების მიზნობრივი გამოყენება (MEAN=5.40)
- შიდა ეზოების განათება (MEAN=5.34)
- გარე განათების (ე.წ. „მხატვრული განათების“ ჩათვლით) დიზაინი (MEAN=5.30)
- გარე განათების ინტენსივობა (ჭარბი ან სუსტი განათება) (MEAN=5.30)

6.4. გარე-განათების სფეროში, თბილისის რაიონებისა და ცალკეული უბნების დონეზე, მეტ-ნაკლებად მხოლოდ ერთი საერთო პრობლემა გამოიკვეთა:

- შიდა ეზოების არასაკმარისი განათება

გარე განათების სფეროს შეფასება (Mean)



7. გამწვანება



7.1. გამწვანების სფეროში თბილისში არსებულ ზოგად ვითარებას თბილისელები უარყოფითად აფასებენ; (MEAN=3.9 –ს შეფასების 7 ქულიან სკალაზე).

7.2. გამწვანების სფეროში რესპონდენტები მიუთითებენ პრობლემატურ საკითხებზე, რომლებიც უარყოფითი შეფასების ველში (< 4-ზე) ექცევა:

- მწვანე ადგილების (სკვერი, პარკი, გამწვანებული ქუჩა) რაოდენობა ქალაქში (MEAN=3.83)
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ჩართვა ქალაქის გამწვანების ღონისძიებებში (MEAN=3.89)
- ცენტრალური პროსპექტების აივნების გამწვანება (MEAN=3.81)
- ახალი მწვანე ადგილების (სკვერი, პარკი, გამწვანებული ქუჩა) გაშენება (MEAN=3.90)

7.3. გამწვანების სფეროში შედარებით მეტ-ნაკლებად ფასდება (> 4-ზე) შემდეგი საკითხი:

- თბილისის ლანდშაფტისა და ჰავისთვის შესაფერისი ნარგავების გაშენება (MEAN=4.17)


7.4. გამწვანების სფეროში, თბილისის რაიონების დონეზე, შემდეგი საერთო პრობლემები გამოვლინდა (ეს პრობლემები დასახელდა თბილისის ათივე რაიონში):

- ახალი მწვანე ადგილების გაშენებაზე არასაკმარისი ზრუნვა;
- არსებული მწვანე ადგილების შენარჩუნებაზე/მოვლაზე არასაკმარისი ზრუნვა;
- მწვანე ადგილების ნაკლებობა ქალაქში.

7.5. გარდა ამისა, თბილისის რაიონების ცალკეულ უბნებში გამოიკვეთა შემდეგი დამატებითი პრობლემები:

- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ჩაურთველობა ქალაქის გამწვანებაში
- არსებული მწვანე ადგილების (სკვერი, პარკი, გამწვანებული ქუჩა) შევიწროება ახალმშენებლობებით

გამწვანების სფეროს შეფასება (Mean)



8. დაგვა-დასუფთავება



8.1. დაგვა-დასუფთავების სფეროში თბილისში არსებულ ზოგად ვითარებას თბილისელები დადებითად აფასებენ; თუმცა, ეს არ არის გამოკვეთილად დადებითი შეფასება და ის ახლოსაა შეფასების ნეიტრალურ (ქულა 4) პუნქტთან (MEAN=4.27 –ს შეფასების 7 ქულიან სკალაზე).

8.2. დაგვა-დასუფთავების სფეროში რესპონდენტები მიუთითებენ პრობლემატურ საკითხებზე, რომლებიც უარყოფითი შეფასების ველში (< 4-ზე) ექცევა:

- მტკვარის და თბილისის სხვა მდინარეების სანიტარული მდგომარეობა (MEAN=3.0)
- დიდი ნაგავსაყრელების მდგომარეობა (MEAN=3.8)
- ქუჩის დაბინძურებაზე სანქციების განხორციელება (MEAN=3.9)

8.3. დაგვა-დასუფთავების სფეროში მეტ-ნაკლებად დადებითად ფასდება (> 4-ზე) შემდეგი საკითხები:

- მეეზოვეების მუშაობა (MEAN=5.4)
- ნაგვის მანქანის გრაფიკი (MEAN=5.1.)
- ნაგვის ურნების დაცლის ინტენსივობა (MEAN=5.1)
- ნაგვის ბუნკერების რაოდენობა (MEAN=4.9)
- ნაგვის მანქანის ქუჩებში გადაადგილების დაგეგმვა (MEAN=4.9)
- ქუჩების სანიტარული მდგომარეობა (MEAN=4.8)
- შიდა ეზოების სანიტარული მდგომარეობა (MEAN=4.8)


8.4. დაგვა-დასუფთავების სფეროში, თბილისის რაიონების დონეზე, შემდეგი საერთო პრობლემები გამოვლინდა (ეს პრობლემები დასახელდა თბილისის უმეტეს რაიონებში):

- ქუჩის დაბინძურებაზე (ცხოველების ფეკალიების ჩათვლით) სანქციების განუხორციელებლობა
- ქუჩების ცუდი სანიტარული მდგომარეობა
- ნაგვის ბუნკერების ცუდი სანიტარული მდგომარეობა

8.5. გარდა ამისა, თბილისის რაიონების ცალკეულ უბნებში გამოიკვეთა შემდეგი დამატებითი პრობლემები:

- ნაგვის ურნების ნაკლებობა შიდა ეზოებსა და ქუჩებში
- ნაგვის ბუნკერების ტექნიკური გაუმართაობა
- მტკვრისა და თბილისის სხვა მდინარეების ცუდი სანიტარული მდგომარეობა

დაგვა-დასუფთავების სფეროს შეფასება (Mean)



9. ქალაქის ძველი უბნების რეკონსტრუქცია, ახალმშენებლობები და ტურისტული ინფრასტრუქტურა



9.1. ქალაქის ძველი უბნების რეკონსტრუქციის სფეროში თბილისში არსებულ ზოგად ვითარებას თბილისელები დადებითად აფასებენ; თუმცა, ეს არ არის გამოკვეთილად დადებითი შეფასება და ის ახლოსაა შეფასების ნეიტრალურ (ქულა 4) პუნქტთან (MEAN=4.3–ს შეფასების 7 ქულიან სკალაზე).

9.2. ახალმშენებლობების სფეროში თბილისში არსებულ ზოგად ვითარებას თბილისელები უარყოფითად აფასებენ (MEAN=3.6–ს შეფასების 7 ქულიან სკალაზე).

9.3. ტურისტული ინფრასტრუქტურის სფეროში თბილისში არსებულ ზოგად ვითარებას თბილისელები დადებითად აფასებენ; (MEAN=4.7–ს შეფასების 7 ქულიან სკალაზე).

9.4. ქალაქის ძველი უბნების რეკონსტრუქციის, ახალმშენებლობებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის სფეროში რესპონდენტები მიუთითებენ პრობლემატურ საკითხებზე, რომლებიც უარყოფითი შეფასების ველში (< 4-ზე) ექცევა:

- ახალმშენებლობებისთვის ნებართვების გაცემის წესი (MEAN=2.69)
- საზოგადოებრივი ტუალეტების არსებობა/მდგომარეობა (MEAN=3.30)
- ახალმშენებლობების არქიტექტურული იერსახე (MEAN=3.93)

9.5. ქალაქის ძველი უბნების რეკონსტრუქციის, ახალმშენებლობებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის სფეროში მეტ-ნაკლებად დადებითად ფასდება (> 4-ზე) შემდეგი საკითხები:

- ტურისტებისათვის ინფორმაციული ფირნიშები ქუჩებში (MEAN=4.57)
- ძველი უბნების არქიტექტურული იერსახის შენარჩუნება (MEAN=4.34)
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების/შენობების მოვლა-პატრონობა (MEAN=4.32)
- ძველი უბნების რეკონსტრუქცია (MEAN=4.31)


9.6. ქალაქის ძველი უბნების რეკონსტრუქციის, ახალმშენებლობებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის სფეროში, თბილისის რაიონების დონეზე, შემდეგი საერთო პრობლემები გამოვლინდა (ეს პრობლემები დასახელდა თბილისის თითქმის ყველა რაიონში):

- საზოგადოებრივი ტუალეტების ნაკლებობა/არასახარბიელო მდგომარეობა
- ახალმშენებლობებისთვის ნებართვების გაცემის არაადეკვატური წესი
- ახალმშენებლობების შეუფერებელი არქიტექტურული იერსახე

9.7. გარდა ამისა, თბილისის რაიონების ცალკეულ უბნებში გამოიკვეთა შემდეგი დამატებითი პრობლემები:

- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების/შენობების არასაკმარისი მოვლა–პატრონობა
- ძველი უბნების არასწორი რეკონსტრუქცია

ქალაქის ძველი უბნების რეკონსტრუქცია, ახალმშენებლობები და ტურისტული ინფრასტრუქტურის სფეროს შეფასება (Mean)



10. საცხოვრებელი სახლების/კორპუსების კეთილმოწყობა



10.1. საცხოვრებელი სახლების/კორპუსების კეთილმოწყობის სფეროში თბილისში არსებულ ზოგად ვითარებას თბილისელები ნეიტრალურად (არც დადებითად, არც უარყოფითად) აფასებენ (MEAN=4.0 –ს შეფასების 7 ქულიან სკალაზე).

10.2. საცხოვრებელი სახლების/კორპუსების კეთილმოწყობის სფეროში რესპონდენტები მიუთითებენ პრობლემატურ საკითხებზე, რომლებიც უარყოფითი შეფასების ველში (MEAN < 4-ზე) ექცევა:

- გაზგასამართი და ბენზინგასამართი სადგურების მიმართ საცხოვრებელი სახლების/კორპუსების დისტანციის დაცვა (MEAN=3.85)
- საცხოვრებელი სახლების/კორპუსების ფასადების მდგომარეობა (MEAN=3.88)
- სადარბაზოების დაცულობა (MEAN=3.92)

10.3. საცხოვრებელი სახლების/კორპუსების კეთილმოწყობის სფეროში მეტ-ნაკლებად დადებითად ფასდება (MEAN > 4-ზე) შემდეგი საკითხები:

- ელგაყვანილობის ტექნიკური გამართულობა (MEAN=5.33)
- გაზგაყვანილობის ტექნიკური გამართულობა (MEAN=5.20)


10.4. საცხოვრებელი სახლების/კორპუსების კეთილმოწყობის სფეროში, თბილისის რაიონების დონეზე, შემდეგი საერთო პრობლემები გამოვლინდა (ეს პრობლემები დასახელდა თბილისის უმეტეს რაიონებში):

- სახლების/კორპუსების ფასადების არასახარბიელო მდგომარეობა
- საცხოვრებელი სახლების/კორპუსების სახურავების არასახარბიელო მდგომარეობა
- საცხოვრებელ სახლებში/კორპუსებში ლიფტების გაუმართავობა
- სადარბაზოების რემონტის დაბალი ხარისხი/სადარბაზოების კეთილმოწყობა
- დაუცველი სადარბაზოები
- სახლების/კორპუსების სარდაფების არასახარბიელო მდგომარეობა

10.5. გარდა ამისა, თბილისის რაიონების ცალკეულ უბნებში გამოიკვეთა შემდეგი დამატებითი პრობლემა:

- სახლების/კორპუსების ეზოებში მოუწყესრიგებელი ავტოფარეხები

საცხოვრებელი სახლების/კორპუსების კეთილმოწყობის შეფასება (Mean)



11. ჯანმრთელობის დაცვა*

* ამ ბლოკის მონაცემები დათვლილია არა მთლიანი შერჩევითვის, არამედ *მოწველადი ქვეჯგუფებისთვის.*




11.1. ჯანმრთელობის დაცვის სფეროში თბილისში არსებულ ზოგად ვითარებას თბილისელები დადებითად აფასებენ; თუმცა, ეს არ არის გამოკვეთილად დადებითი შეფასება და ის ახლოსაა შეფასების ნეიტრალურ (ქულა 4) პუნქტთან (MEAN=4.39 –ს შეფასების 7 ქულიან სკალაზე).

11.2. ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, რესპონდენტები პრაქტიკულად არ მიუთითებენ ისეთ პრობლემატურ საკითხებზე, რომლებიც უარყოფითი შეფასების ველში (MEAN < 4-ზე) მოექცევა.

11.3. ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მეტ-ნაკლებად დადებითად ფასდება (> 4-ზე) შემდეგი საკითხები:

- სასწრაფო სამედიცინო დახმარების ტექნიკური შეიარაღება (MEAN=5.17)
- სასწრაფო სამედიცინო დახმარების ოპერატიულობა (MEAN=4.99)
- იმ დაავადებების ნუსხა, რომელთა რეაბილიტაცია/თერაპია ხორციელდება (მოიცავს აივ/შიდსს, C ჰეპატიტს, აუტიზმის სპექტრის დარღვევას ბავშვებში, ზოგიერთ ფსიქიკურ და ქცევით აშლილობას, და სხვ.) (MEAN=4.81)
- იმ დაავადებების ნუსხა, რომელთა გამოსავლენად მოქალაქეებს უტარდებათ უფასო სამედიცინო გამოკვლევები (ძუძუს, საშვილოსნოს ყელის, პროსტატის, კოლორექტული კიბოს სკრინინგი) (MEAN=4.72)
- ქირურგიული ოპერაციების თანადაფინანსების პრაქტიკა (MEAN=4.72)
- იმ უფასო სამედიცინო გამოკვლევების პერიოდულობა, რომლებიც მოქალაქეებს უტარდებათ ონკოლოგიური დაავადებების გამოსავლენად (მაგალითად, საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი ტარდება 3 წელიწადში ერთხელ, ხოლო ძუძუს კიბოს სკრინინგი – 2 წელიწადში ერთხელ) (MEAN=4.50)
- თბილისელების სტაციონარული და ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების ფინანსური მხარდაჭერის მოცულობა (MEAN=4.50)
- მერიის დაფინანსებით მიღებული სამედიცინო მომსახურების ხარისხი (MEAN=4.49)
- ამბულატორიული მომსახურების თანადაფინანსების პრაქტიკა (MEAN=4.44)
- ჯანდაცვის პრობლემებთან დაკავშირებით, მოქალაქეების მიმართვებზე რეაგირების ოპერატიულობა (MEAN= 4.35)
- მედიკამენტების დაფინანსების პრაქტიკა (MEAN=4.30)

ჯანმრთელობის დაცვის შეფასება (Mean)



12. სოციალური დაცვა*

* ამ ბლოკის მონაცემები დათვლილია არა მთლიანი შერჩევისთვის, არამედ მოწყვლადი ქვეჯგუფებისთვის.



12.1. სოციალური დაცვის სფეროში თბილისში არსებულ ზოგად ვითარებას თბილისელები უარყოფითად აფასებენ (MEAN=3.78–ს შეფასების 7 ქულიან სკალაზე).

12.2. სოციალური დაცვის სფეროში, რესპონდენტები მიუთითებენ პრობლემატურ საკითხებზე, რომლებიც უარყოფითი შეფასების ველში (MEAN < 4-ზე) ექცევა:

- სოციალურად დაუცველი ოჯახების (200 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულა) თანადაფინანსების მოცულობა კომუნალური გადასახადების დასაფარად (MEAN=3.87);
- სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების (70 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულა) 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური ფულადი დახმარების მოცულობა (თვეში 50 ლარი) (MEAN=3.91);
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდთა საკურორტო-სამკურნალო რეაბილიტაცია (MEAN=3.92);
- სოციალურად დაუცველი ოჯახების (150 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულა) შშმ წევრებზე გაცემული დახმარებების მოცულობა (MEAN=3.93);
- განუკურნებელი სენით დაავადებული (პალიატიური ზრუნვის საჭიროების მქონე) პაციენტების მომსახურება (MEAN=3.94).

12.3. სოციალური დაცვის სფეროში მეტ-ნაკლებად დადებითად ფასდება (MEAN > 4-ზე) შემდეგი საკითხები:

- მოქალაქეთა იმ კატეგორიების ნუსხა, რომლებიც მერიისგან სარგებლობენ უფასო ან შეღავათიანი მგზავრობის უფლებით (MEAN=4.72);
- 100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარების მოცულობა (1000 ლარი) (MEAN=4.45);
- სოციალურად დაუცველი ოჯახების (70 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულა) 18 წლამდე ასაკის წევრი მოსწავლეების მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლებში, ხელოვნების და სპორტულ სკოლებში სწავლების ღირებულების ანაზღაურების წილი (MEAN=4.40);
- მარტოხელა ხანდაზმულთათვის დღის ცენტრების ორგანიზება (MEAN=4.37);
- სოციალურად დაუცველ ოჯახებში (100 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულა) მე-3, მე-4, მე-5 და მეტი შვილის დაბადებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების მოცულობა (მესამე ახალშობილისთვის – 800 ლარი, მეოთხე ახალშობილისთვის – 1000 ლარი, მეხუთე და ყოველი შემდეგი ახალშობილისთვის – 1500 ლარი) (MEAN=4.33);
- სმენის არმქონე შშმ პირებისთვის თარჯიმნებით მომსახურების უზრუნველყოფა (MEAN=4.32);
- უფასო სასაბილოებით სარგებლობისთვის არსებული კრიტერიუმები (სარგებლობენ ის ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 200 000-სს) (MEAN=4.30).

სოციალური დაცვის შეფასება (Mean)



13. განათლება (ინფრასტრუქტურა და პროგრამები)*

* ამ ბლოკის მონაცემები დათვლილია არა მთლიანი შერჩევითვის, არამედ სპეციფიკური (რელევანტური) ქვეჯგუფისთვის. კერძოდ, იმ რესპონდენტებისთვის, რომელთა ა) ასაკი 23 წელზე ნაკლებია ან ბ) რომელთაც ოჯახში ჰყავთ სკოლამდელი ასაკის ბავშვი, სკოლის მოსწავლე ან სტუდენტი.



13.1. განათლების ინფრასტრუქტურის სფეროში თბილისში არსებულ ზოგად ვითარებას თბილისელები უარყოფითად აფასებენ; (MEAN=3.90 –ს შეფასების 7 ქულიან სკალაზე), თუმცა ეს შეფასება ძალზე ახლოსაა ნეიტრალურ პუნქტთან (ქულა 4).

13.2. საგანმანათლებლო პროგრამების სფეროში თბილისში არსებულ ზოგად ვითარებას თბილისელები ნეიტრალურად („არც დადებითად, არც უარყოფითად“) აფასებენ (MEAN=4–ს შეფასების 7 ქულიან სკალაზე).

13.3. საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურისა და პროგრამების სფეროში რესპონდენტები მიუთითებენ პრობლემატურ საკითხებზე, რომლებიც უარყოფითი შეფასების ველში (MEAN < 4-ზე) ექცევა:

- მუნიციპალურ ბაგა– ბაღებში ჩარიცხვის წესი (MEAN=3.79)
- თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი საქალაქო საბიბლიოთეკო ქსელის არსებობა (MEAN=3.87)
- მუნიციპალური ბაგა-ბაღების რაოდენობა (MEAN=3.93)

13.4. საგანმანათლებლო ინფრატრუქტურისა და პროგრამების სფეროში ყველაზე დადებითად ფასდება (MEAN > 4–ზე) შემდეგი საკითხები:

- კვება მუნიციპალურ ბაგა–ბაღებში (MEAN=5.32)
- უსაფრთხოების ნორმების დაცვა სახელმწიფო საბავშვო ბაგა–ბაღებში (MEAN=5.07)
- მუნიციპალური ბაგა/ბაღების კეთილმოწყობა/ინფრასტრუქტურა (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვ.) (MEAN=4.95)
- მუნიციპალურ ბაგა–ბაღებში აღმზრდელთა კვალიფიკაცია (MEAN=4.95)
- სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების მატერიალური დახმარების მოცულობა (სწავლების საფასურის გადახდა, სტიპენდიები და სხვ.) (MEAN=4.64)
- სპეციალური პედაგოგების (შშმ მოსწავლეებთან მომუშავე) კვალიფიკაცია (MEAN=4.59)
- ვითარება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების (ინკლუზიური განათლების) ხელშეწყობის თვალსაზრისით (MEAN=4.59)
- შშმ ბავშვებზე ადაპტირებული ფიზიკური გარემო მუნიციპალურ ბაგა–ბაღებში (პანდუსები, ლიფტები და სხვ.) (MEAN=4.57)
- მოსწავლე–ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის/სახლების შემოქმედებითი, ინტელექტუალური და ტექნიკური პოტენციალი (MEAN=4.56)
- ვითარება უწყვეტი განათლების ხელშეწყობის (პროფესიული ტრენინგები, გადამზადების კურსები და სხვ.) თვალსაზრისით (MEAN=4.54)

განათლების (ინფრასტრუქტურა და პროგრამები) შეფასება (Mean)



14. კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა



14.1. კულტურის ინფრასტრუქტურის სფეროში თბილისში არსებულ ზოგად ვითარებას თბილისელები დადებითად აფასებენ; თუმცა, ეს არ არის გამოკვეთილად დადებითი შეფასება და ის ახლოსაა შეფასების ნეიტრალურ (ქულა 4) პუნქტთან (MEAN=4.5–ს შეფასების 7 ქულიან სკალაზე).

14.2. კულტურული ღონისძიებების/პროგრამების სფეროში თბილისში არსებულ ზოგად ვითარებას თბილისელები დადებითად აფასებენ; თუმცა, ეს არ არის გამოკვეთილად დადებითი შეფასება და ის ახლოსაა შეფასების ნეიტრალურ (ქულა 4) პუნქტთან (MEAN=4.5–ს შეფასების 7 ქულიან სკალაზე).

14.3. სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში თბილისში არსებულ ზოგად ვითარებას თბილისელები დადებითად აფასებენ; თუმცა, ეს არ არის გამოკვეთილად დადებითი შეფასება და ის ახლოსაა შეფასების ნეიტრალურ (ქულა 4) პუნქტთან (MEAN=4.4 –ს შეფასების 7 ქულიან სკალაზე).


14.4. კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში რესპონდენტები მიუთითებენ პრობლემატურ საკითხებზე, რომლებიც უარყოფითი შეფასების ველში (MEAN < 4-ზე) ექცევა:

- ზოოლოგიური პარკის მდგომარეობა (MEAN= 3.83)
- მუნიციპალური საცურაო აუზების რაოდენობა/ხარისხი (MEAN=3.77)

14.5. კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში ყველაზე დადებითად ფასდება (MEAN > 4-ზე) შემდეგი საკითხები:

- პანთეონების კეთილმოწყობა (MEAN=5.01)
- დღესასწაულებისთვის მიძღვნილი ღონისძიებების (თბილისობა, საშობაო ღონისძიებები და სხვ.) ჩატარება (MEAN=4.91)
- ჯაზ ფესტივალების/კონკურსების ჩატარება (მენეჯმენტი, ხარისხი, სიხშირე და სხვ.) (MEAN=4.86)
- თანამედროვე მუსიკის ფესტივალების/კონკურსების ჩატარება (მენეჯმენტი, ხარისხი, ჩატარების სიხშირე და სხვ.) (MEAN=4.77)
- ქართული ფოლკლორის ფესტივალების/კონკურსების ჩატარება (მენეჯმენტი, ხარისხი, სიხშირე და სხვ.) (MEAN=4.75)
- კლასიკური მუსიკის ფესტივალების/კონკურსების ჩატარება (მენეჯმენტი, ხარისხი, სიხშირე და სხვ.) (MEAN=4.75)
- წიგნების გამოფენა-ბაზრობების მოწყობა (MEAN=4.72)
- ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების მდგომარეობა (შენობა, გამოფენების ხარისხი და სხვ.) (MEAN=4.66)
- ბოტანიკური ბაღის მდგომარეობა (MEAN=4.61)

კულტურის ინფრასტრუქტურის , სპორტი და ახალგაზრდობის სფეროს შეფასება (Mean)



15. საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება



15.1. საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში თბილისში არსებულ ზოგად ვითარებას თბილისელები უარყოფითად აფასებენ; (MEAN=3.91 –ს შეფასების 7 ქულიან სკალაზე), თუმცა ეს შეფასება ძალზე ახლოსაა ნეიტრალურ პუნქტთან (ქულა 4).


15.2. საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში რესპონდენტები მიუთითებენ პრობლემატურ საკითხებზე, რომლებიც უარყოფითი შეფასების ველში (MEAN < 4-ზე) ექცევა:

- თავშესაფრები უპატრონო ცხოველებისთვის (MEAN=3.68)
- უპატრონო ცხოველებისგან დაცვა (MEAN=3.71)
- ფოიერვერკების მოხმარების კონტროლი თბილისის ქუჩებში (MEAN=3.83)
- ქუჩებში ჰაერის სისუფთავე (MEAN=3.87)
- მღრღნელებისგან დაცვა (MEAN=3.89)
- ბარებიდან/რესტორნებიდან წარმოქმნილი ხმაურის რეგულირება/კონტროლი (MEAN=3.92)

15.3. საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში ყველაზე დადებითად ფასდება (> 4-ზე) შემდეგი საკითხი:

- მწველებისგან თავისუფალი სივრცე საზოგადოებრივი კვების ობიექტებში (MEAN=4.16).

საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოების შეფასება (Mean)



გმადლობთ ყურადღებისთვის!

